ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №109

20 აპრილი 2021 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან დარახველიძე, ვაჟა ოთარაშვილი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:

საფინანსო საქალაქო სამსახურიდან- გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან- ირაკლი თავართქილაძე, მარიამ კვერნაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა დავით უთმელიძე.

დღის წესრიგი:

1. .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

(№11-01211063753;11-01210972847; საკრებულოს №15-032110657-03;15-032109754-03)

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულება.

3. "ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N36-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.010.01.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

4. „ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-8 მიკრორაიონის, კორპუს N23-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.001.003.01.531 და N01.11.10.001.003.01.530) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

5. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი VII, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.026.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (№11-01211063753;11-01210972847; საკრებულოს №15-032110657-03;15-032109754-03)

მომხსენებელი- ლევან მიქავა.

შესათანხმებლად წარმოდგენილია მთაწმინდის რაიონისათვის მიკუთვნებულ პროგრამებში ასიგნებების კვარტალური ცვლილება.

როგორც ლევან მიქავამ განმარტა, რაიონის ტერიტორიაზე ჩატარდა დაზიანებული ასფალტის საფარის ნავარაუდევზე მეტი მოცულობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რის გამოც „გზების მოვლა შეკეთების"პროგრამაში მეორე კვარტალში გამგეობას არ აქვს საკმარისი თანხები და 867,0 ათასი ლარი გადმოაქვთ მესამე და მეოთხე კვარტლებიდან. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე 6 თვეში ჩასატარებელი სამუშაოების დასაფინანსებლად გამგეობას მეორე კვარტალში დამატებით სჭირდება 430,0 ათასი ლარი, რისი გადმოტანაც ხდება მომდევნო კვარტლებიდან. გარდა ამისა კოჯორში, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი კიკეთი-კოჯრის საუბნო სამსახურის შენობის სახურავის შესაკეთებლად, 53,8 ათასი ლარი ემატება გამგეობის არაფინანსური აქტივების მუხლში , „საქონელი და მომსახურების" მუხლის შესაბამისად შემცირებით.

ასევე მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად ეკო-ტურისტულ ბილიკებზე , „თბილიში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერის „ პროგრამაში არაფინანსური აქტივების მუხლში მეორე კვარტალში ემატება 81 495 ლარი. გარდა ამისა „ქალაქის განვითარების პროგრამაში" მეორე კვარტალში ემატება 250 000 ლარი. „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში კონტრაქტორმა კომპანიამ წარმოადგინა შუალედური ანგარიში მარტის თვეში და კონტრაქტის პირობების შესაბამისად საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის დადებული სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, არარეზიდენტის გადასახდელი დღგ-ს თანხა, რომელიც ბიუჯეტშია გადასახდელი არ არის საკმარისი.

მომხრე- 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობა,ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი, ასევე ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის me-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულება.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია მომზადებული და წარმოდგენილია საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" გათვალისწინებით და მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის და მიღწეული შედეგების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური

მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

შემოსულობები

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 901 868,1 ათასი ლარით. ფაქტიურმა შესრულებამ კი შეადგინა 930 239,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 103,1 %-ია.

სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი შემდეგნაირია:

შემოსავლები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 853,437.4 ათასი ლარი, ფაქტიურად 868,463.3 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 101.8% და ფაქტიური შემოსულობების 93.4% შეადგინა. გადასახადების სახით ბიუჯეტში მობილიზებულია 617 311,9 ათასი ლარი, რაც გეგმის102,5%-ია. გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 108 746,2 ათასი ლარი (გეგმის 99.8%), ხოლო სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 142 405,2 ათასი ლარი (გეგმის 100,3 %).

არაფინანსური აქტივებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 61 678,4 ათასი ლარის შემოსავლი, რაც გეგმას(48 000,0 ათას ლარს) 13 678 4 ათასი ლარით აღემატება. 12,874.7 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, 260.3 ათასი ლარი - მატერიალური მარაგების გაყიდვიდან და 48,543.4 ათასი ლარი - არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან.

ფინანსური აქტივებიდან საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია 94,5 ათასი ლარი და ასახულია ვალუტა და დეპოზიტების სახით (მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სესხის უზრუნველყოფის მიზნით წინა წლებში დეპოზიტზე განთავსებული თანხის დაბრუნება).

ვალდებულებების ზრდის სახით საანგარიშო პერიოდში ასახულია 3,3 ათასი ლარი (შემოსულობა საშინაო და საგარეო ფინანსური ვალდებულებების სახაზინო კოდზე ჩარიცხული თანხები, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულების ზრდას).

გადასახდელები

2020 წლის ბიუჯეტით მუნიციპალიტეტის გადასახდელები (ხარჯები, არაფინანსური აქტივების ზრდა, ფინანსური აქტივების ზრდა, ვალდებულებების კლება) განისაზღვრა 1 121 648,1 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 080 555,4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 96,3%. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 847 449,1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 825 205,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 97,4%-ია და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 76,4%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შედგინა 258 149,5 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი კი შედგენს 239 300,8 ათას ლარს (გეგმის 92,7%).

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 16,049.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 16,049.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ია.

2020 წელს ნაშთის ცვლილების სახით ბიუჯეტში ასახულ იქნა 219 780,0 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების გამოყენებამ შეადგინა 150 315,8 ათასი ლარი.

რაც შეეხება ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს, წლის დასაწყისისათვის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 220 669,0 ათასი ლარი, ხოლო წლის ბოლოსათვის - 70 353,2 ათასი ლარი.

ანგარიშში ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ. კერძოდ: საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 6,440.6 ათასი ლარიდან გადარიცხულია 6,205.8 ათასი ლარი, ხოლო წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან შესაბამისი სამართლებრივი აქტებით გამოიყო 3,001.9 ათასი ლარი და გამოყოფილი სახსრების ათვისებამ შეადგინა 100%.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 281,775.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (284,606.6 ათასი ლარი) 99%-ია;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 225,580.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (237,433.1 ათასი ლარი) 95%-ია;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 114,577.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (117,578.5 ათასი ლარი) 97.4%-ია;

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1,472.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (1,994.8 ათასი ლარი) 73.8%-ია;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 36,513.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (37,157.1 ათასი ლარი) 98.3%-ია;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 146,558.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (149,751.3 ათასი ლარი) 97.9%-ია;

განათლება - 154,612.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (163,478.4 ათასი ლარი) 94.6%-ია;

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 28,795.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (32,487.1 ათასი ლარი) 88.6%-ია;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 4,449.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (4,675.2 ათასი ლარი) 95.2%-ია;

ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 86,219.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (92,486.1 ათასი ლარი) 93.2%-ია.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის“, **საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: “ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N36-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.010.01.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის მიერ დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N36-ში, მეცხრე სართულზე მდებარე 60.93 კვ.მ ფართის ბინა N27-ის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.010.01.027) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, მოქალაქე რუსუდან მჭედლიშვილისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. შსს-ს ცნობით დგინდება რომ რუსუდან

მჭედლიშვილი ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე; აგრეთვე მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დასტურდება, რომ რუსუდან მჭედლიშვილი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2006 წლიდან.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-8 მიკრორაიონის, კორპუს N23-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.001.003.01.531 და N01.11.10.001.003.01.530) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე

თბილისში, გლდანში, მე-8 მიკრო / რაიონის კორპუს N23-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.001.003.01.531 და N01.11.10.001.003.01.530) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა პირებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, (2 პირს, (2 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემათ მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები, საერთო ჯამში გადაეცემათ 148.42 კვ.მ.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი VII, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.026.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი VII, N5-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.11.026.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა 2 ოჯახს, ჯამში 147,07 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **დავით უთმელიძე.**